

## „თმის შეჭრისა და ღებვის ხელოვნება“

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევის

შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს პროფესიული კვალიფიკაციის ნაწილის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები.

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 10 (2,5 თვე) კვირეული დატვირთვა 24საათი

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს სალონში

ან თვითონ გახსნას სილამაზის სალონი და იყოს თვითდასაქმებული. პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მოკლე ვადაში მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი თმის

მომსახურების სამუშაოების მცოდნე ისეთი პირი, რომელიც ქალის თმის შეჭრას და ღებვას შეასრულებს ხარისხისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ასევე, პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე პროგრამის კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა. პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

სწავლის შედეგები:

1. სამუშაო ადგილის ორგანიზება
2. თმის, კანის ტიპები და დაავადებები
3. თავის დაბანა და თმის შეჭრა
4. პალიტრის წაკითხვა, საღებავების კლასიფიკაცია და შერჩევა, შედეგის სხვადასხვა ხერხები
5. თმის ღებვა, გაღიავენა, ფერის შეცვლა გაღიავენის გარეშე, მელირება